ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

ანწუხი და ანწუხელნი – საქართველოს ისტორიაში (XIV–XVIII საუკუნეები)

2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარე ავტონომიური ერთეულების – აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ სრული ოკუპაცია მოახდინეს, დამპყრობელთა წინააღმდეგ წარმოებულ უთანასწორო ბრძოლას სამშობლოს დამცველი ქართული არმიის არაერთი სამხედრო მოსამსახურე შეეწირა.

ამ ომში თავგამოჩენილ სხვა ქართველ მებრძოლთა თავდადებასთან ერთად, გიორგი ანწუხელიძის (1984-2008) გმირობის ამბავიც საყოველთაოდ გახმაურდა. ტყვედ ჩავარდნილმა მეომარმა სამშობლოსა და სამხედრო ფიცისადმი ერთგულება გამოიჩინა და მტრის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, შეურაცხყოფა არ მიაყენა საქართველოს სახელმწიფო დროშას, რის გამოც ოკუპანტებმა და მათმა დამქაშმა სეპარატისტებმა იგი არაადამიანური წამებით მოკლეს. მისი წამების შემზარავი კადრები ინტერნეტშიც გავრცელდა.

სამშობლოსათვის თავდადებული გიორგი ანწუხელიძის ნათელ ხსოვნას ქართველი ერი წმინდად ინახავს. გმირული სიკვდილის შემდეგ იგი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (2009) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ (2011).

2013 წლის 15 აპრილს გიორგი ანწუხელიძეს მიენიჭა წოდება – „საქართველოს ეროვნული გმირი“, ხოლო 2 ნოემბერს „თუშთა სადროშომ“ იგი „თუშ სახალხო გმირად“ გამოაცხადა [1-2].

2016 წლის 24 ოქტომბრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივ ჯილდოთა ნუსხას შეემატა მედალი „გიორგი ანწუხელიძე“, რომლითაც უკვე რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.

ამ სასახელო რაინდის წინაპარნი მკვიდრობდნენ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ერთ-ერთ უმშვენიერეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონში – თუშეთში, რომელიც დაღესტანსა და ჩეჩნეთს ესაზღვრება.

ქართულ საზოგადოებაში ხშირად ისმის კითხვები: საიდან მომდინარეობს ანწუხელიძეთა საგვარეულო? მისი ფუძემდებელი წარმოშობით ანწუხიდან ხომ არ იყო? სად მდებარეობს ანწუხი?

ანწუხელიძეთა (იგივე ანწუხელიანთა) გვარის წარმომადგენლები თუშეთში შემავალი ერთ-ერთი თემის – გომეწრის სოფელ ვერხოვანში ცხოვრობდნენ. მათ წარმომავლობაზე არსებული საგვარეულო ლეგენდა, რომელიც პირველად ეთნოლოგმა როლანდ თოფჩიშვილმა გამოაქვეყნა, მოგვითხრობს: „წინათ ნიკოლოზიანი ყოფილან. მერეღა მათი ერთ-ერთი წინაპრის – სიოსთვის, მისი ქცევის გამო, დაუძახნიათ „ანწუხელი ლეკი“ (წელში კალთებდაჩრილი გამოვარდებოდა“). იტყოდნენ: „ეს სიო, როგორც ანწუხელი ლეკი, კალთებდაჩრილი გამოვარდებაო“ და დაუძახიათ „ანწუხელიანი“ [3, 61].

ამ საგვარეულოს წარმომადგენლები 1873 წლის აღწერაში იხსენიებიან „ანწუხლიშვილებად“, ხოლო 1886 წლის აღწერაში – „ანწუხელიძეებად”. XIX საუკუნის შუა ხანებში ამ გვარიდან გამ-

ოყოფილან დათუნაიძები (იგივე ჭუმბაანები), რომლებიც ზემოხსენებულ აღწერებში დათუნაშვილებად მოიხსენიებიან [3, 60-61].

ასე, რომ ანწუხელიძენი ძირად (ანუ წარმოშობით) ქართველნი არიან და მათი გვარის ფუძემდებელ წინაპარს „ანწუხელი" მხოლოდ და მხოლოდ ანწუხელებთან გარეგნული მსგავსების გამო, მეტსახელად უწოდეს.

ახლა, რაც შეეხება იმას, თუ სად მდებარეობს ანწუხი. ეს რეგიონი, რომელიც წარსულში ხუნძეთის (იმავე ავარიის) ნაწილი იყო, ამჟამად მდებარეობს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შემავალი ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკის – დაღესტნის თლიარატის რაიონში (Тляратинский район), რომლის ადმინისტრაციული ცენტრიც – თლიარატა (Тлярата) გახლავთ. ამის გამო, ხუნძი (ავარიელი) ხალხის ერთ-ერთ სუბეთნოსად ცნობილ ანწუხელებს (თვითდასახელება – „анцукъал"), რომელთა რაოდენობაც 50 ათასს აღემატება, – თლიარატელებსაც უწოდებენ. ანწუხური – ხუნძური (ავარიული) ენის სამხრეთულ დიალექტს განეკუთვნება.

ანწუხს, რომელიც რუსეთის იმპერიის არსებობის პერიოდში შედიოდა ღუნიბის ოლქის, ხოლო 1920 წლიდან – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში, 1921-1926 წლებში ანწუხ-კაპუჭის რაიონი (Анчухо-Капучинский район) ეწოდებოდა. თლიარატის რაიონის რამდენიმე სოფელი მოგვიანებით გადასცეს მის მოსაზღვრე წუნტის რაიონს (Цунтинский район) და მასში შემავალ ბეჟთის ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც რუსულად „Бежтинский участок"-ს უწოდებენ [4].

ანწუხელნი ძირითადად თლიარატისა და წუნტის რაიონებში ცხოვრობენ. XX საუკუნის შუა ხანებში მათი ნაწილი დაღესტნის სხვა დასახლებულ პუნქტებში გადასახლდა. აქვე დავსძენთ, რომ დაღესტნის აღნიშნული რაიონები ჩრდილოეთიდან ესაზღვრება კახეთის რეგიონის შემადგენლობაში შემავალ ახმეტის (რომელიც მოიცავს თუშეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს), თელა-

ვის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებს.

ხუნძები, რომლებიც ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონებში სსრ კავშირის არსებობის ბოლომდე კომპაქტურად სახლობდნენ, ხოლო მათი მცირე ნაწილი დღემდე შემორჩა, სწორედ ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ მეთემეთა შთამომავლები არიან.

ხუნძთა თვითდასახელებაა „მაარულალ“ ანუ „მთიელი“, ხოლო ამ ერის ერთ-ერთი სუბეთნიკური ჯგუფი – ანწუხელნი საკუთარ თავს მოიხსენიებენ თვითსახელწოდებით „მარახშალ“, რაც ლაზათიანს, შნოიანს ნიშნავს. მშობლიურ ანწუხურთან ერთად, ანწუხელებმა ხუნძურიც სრულყოფილად იციან [5, 17-19]. ეს ენა მათ აერთიანებთ მათივე მონათესავე ხუნძ ხალხთან, რომლის საერთო რაოდენობაც მილიონს აღემატება.

ქვემოთ შესწავლილი გვაქვს, თუ რა როლი შეასრულეს საქართველოს ისტორიაში ანწუხის თემმა და მისმა მკვიდრმა მოსახლეობამ – ანწუხელებმა.

* * *

დაღესტნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებულ ხუნძეთის მხარის ერთ-ერთ შემადგენელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რეგიონს – ანწუხის თემს, რომელიც დაღესტნის რესპუბლიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, ისევე როგორც კაპუჭის თემს, საუკუნეთა განმავლობაში საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ეს ურთიერთობა ინტენსიურად ვითარდებოდა ანწუხ-კაპუჭის თემებსა და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში XV-XVIII საუკუნეებში არსებულ კახეთის სამეფოს შორის, რომელიც გარდა საკუთრივ კახეთის რეგიონისა (ერწო-თიანეთითა და ქიზიყითურთ), ასევე მოიცავდა ისტორიულ ჰერეთსაც (რომლის აღმოსავლეთი ნაწილია საინგილო, ამჟამად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში შემავალი) და თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც.

საგულისხმოა, რომ ანწუხსა და კაპუჭს, როგორც დაღესტნის ტერიტორიაზე მდებარე თავისუფალ თემებს, გაცილებით ინტენსიური ურთიერთობა გააჩნდათ საქართველოსთან, ვიდრე მათივე

მონათესავე ხუნძეთის (ავარიის) სახანოსთან, იმავე სანუცალოსთან, რომელსაც „ნუცალი" (შეესაბამებოდა სპარსულად – ხანს და ქართულად – მთავარს) განაგებდა.

ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული ტერმინი „ნუცალი" უნდა მომდინარეობდეს ქართული ტერმინიდან „ნაცვალი" [6, 85], რის თაობაზეც პირველად მკვლევარმა ა. კრიშტოპამ აღნიშნა. მან ეს საკითხი ჯერ სტატიაში [7, 72-80], ხოლო შემდეგ მონოგრაფიაშიც [8, 61] განიხილა.

აქვე დავსძენთ, რომ ა. კრიშტოპას ზემოხსენებული არგუმენტაცია სადავოდ მიიჩნია დაღესტნის ისტორიისა და კულტურის მკვლევარმა, ეთნიკურად ხუნძმა (ავარიელმა) შახბან ხაპიზოვმა, რომელმაც აღნიშნა: „Эту версию конечно, всерьез воспринимать сложно, поскольку даже в самой Грузии этот термин редко используется в сословной номенклатуре и то в статусе сельского старшины. Сложно поверить, что такой термин мог перетечь из грузинского языка в аварский и приобрести такое значение" [9, 41].

ხაპიზოვის ამ მოსაზრების დამაჯერებლობა საეჭვო ხდება იმის გამო, რომ „ნაცვალის" თანამდებობა ფეოდალური ეპოქის საქართველოში სწორედაც რომ ფართოდ გამოიყენებოდა. კერძოდ, იგი საქართველოს ერთიან სამეფოში ნიშნავდა ვეზირის მოადგილეს, ხოლო ჩვენი ქვეყნის სამ სამეფოდ დაშლის შემდეგ, იგი ადმინისტრაციულ-საპოლიციო აპარატის მოხელეს წარმოადგენდა. ნაცვლები ჰყავდათ როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლებს. ისინი იყვნენ როგორც ქალაქებში, ასევე სოფლებშიც. თბილისში ერთდროულად საქმიანობდა ამ თანამდებობის მქონე ორი პირი: 1) მეფის ნაცვალი; 2) ქალაქის მოურავის ნაცვალი. ქალაქთა მელიქების, ეშიკაღასბაშის, ყორიასაულბაშისა და ზოგიერთი სხვა მოხელის ნაცვალს ზოგჯერ „ნაიბი" ეწოდებოდა. ქალაქის ნაცვალი, ქალაქის მოურავთან ერთად იხილავდა ნაკლებად მნიშვნელოვან დავას, მეთვალყურეობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სხვ.

ნაცვლის თანამდებობის შესახებ საყურადღებო მოსაზრებანი

გამოთქვეს გამოჩენილმა მეცნიერებმა: ივანე ჯავახიშვილმა [10], ივანე სურგულაძემ [11], შოთა მესხიამ [12], ხოლო ამ ტერმინზე დაწერილი საენციკლოპედიო სტატია ეკუთვნის მიხეილ კეკელიას [13, 339], რომელიც ქართული სამართლის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გახლდათ.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ანწუხისა და კაპუჭის თავისუფალ თემებს – ხუნძეთთან და საერთოდ – დაღესტანზე უფრო მჭიდრო ურთიერთობა საქართველოსთან, კერძოდ კახეთთან გააჩნდათ. ეს განპირობებული იყო ოთხი ფაქტორით: 1) ტერიტორიული სიახლოვე; 2) სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობა; 3) სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა; 4) სარწმუნოებრივი ერთობა.

ანწუხისა და კაპუჭის თემთა სარწმუნოებრივი ერთობა საქართველოსთან მანამდე გრძელდებოდა, სანამ დაღესტანში ისლამი შეაღწევდა და გამაჰმადიანდებოდა ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც მანამდე ქართველთა თაოსნობით გაქრისტიანებული გახლდათ. ისლამი დაღესტანში გაბატონებულ რელიგიად XV საუკუნიდან იქცა.

1895 წელს თბილისში გამოცემულ მოსე ჯანაშვილის წიგნში „საქართველოს ისტორია" დამოწმებულია მაღალაშვილისეული სახარების XIV საუკუნით დათარიღებული მინაწერი, რომელშიც ვკითხულობთ: „ქ. ოდეს სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექთიმე მოიხილა კახეთს ანწუხისა საეფისკოპოსო და მიერითგან გარდამოვიდა წახურს, კაკ-ელისენს და მოვლო საყდარნი... ხუნძთა, ნახჩთა, თოშეთისა, ნეკრესისა, ლაგოეთისა, ბელაქანისა, მაჭ ფიფინეთისა, ფერიჯან-მუხას-მამრეხისა და ყოვლისა კაკისა, ესე იგი არს; ძუელისა მოვაკნისა, ელისენისა, ვერხვიანით ზეგანით გამო ვიდრე ივრის მდინარის ჩასართავამდე ალაზანსა. და ამან სანატრელმან ექთიმე გიბრძანა ქურმუხისა მთავარ ეფისკოპოსსა და ყოვლისა მთეულისა წინამძღუარსა კირილე დონაურსა გარდაწერინებად სახარებისა და წარგზავნად თუითეულისა თვის ეკლესიისა" [14, 205].

ამ მინაწერთან დაკავშირებით სერგი მაკალათია შენიშნავდა: „რომ ისტორიულ წარსულში ჩაჩნეთ-დაღესტანი და ყოფილი ზაქათალის ოლქის და ნუხის მაზრის მოსახლეობა სარწმუნოებრივად საქართველოს ეკლესიას ექვემდებარეობდოდა, ამას, სხვათა შორის, მოწმობს მაღალაშვილის სახარების XIV საუკუნის ერთი მინაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ეს მხარე შედიოდა ქურმუხის მთავარი ეპისკოპოსის სამწყსოში“ [15, 31].

სარწმუნოებრივი ერთობის მოშლის მიუხედავად, ანწუხისა და კაპუჭის თემების საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობის განმაპირობებელი დანარჩენი სამი ფაქტორი: ტერიტორიული სიახლოვე, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური კავშირი – უცვლელად შენარჩუნდა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მოსაზღვრე დაღესტნის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, დიდოეთში, ბეჟთა-პაპუჭისა და ანწუხის ტერიტორიაზე არსებული არაერთი ტოპონიმი ქართული წარმოშობისა გახლავთ. ასეთებია თვით ეთნონიმები – „დიდო“, „კაპუჭი“ და სხვ. ამასთან დაკავშირებით არსებუბს ვარაუდი, რომ დაღესტნის დასავლეთი და სამხრეთი რაიონების ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ემეზობლება თუშეთსა და კახეთს, წარსულში ქართველებით დასახლებული უნდა ყოფილიყო. ამ ტერიტორიაზე შემორჩენილ ქართულ ტოპონიმებს მკვლევართა ნაწილი სწორედ ქართული მოსახლეობის იქ ცხოვრებით ხსნის [16, 431].

ანწუხისა და კაპუჭის თემთა ჯამაათის (მკვიდრთა) მიერ არჩეული სანდო პირები სისტემატურად ჩამოდიოდნენ საქართველოში და ბაგრატოვან ხელმწიფეებთან შეთანხმებით მოქმედებდნენ. მათი შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა კახეთის ტერიტორიაზე არსებული საძოვრების გამოყენება და დაქირავებული შეიარაღებული რაზმების შედგენა. საძოვრებით სარგებლობისათვის ანწუხელნი და კაპუჭელნი საგანგებო გადასახადს – „საბალახეს“ იხდიდნენ. იმავდროულად, მათგან შემდგარ ლაშქარს ბაგრატოვანი მეფენი გასამრჯელოს უხდიდნენ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ კახეთის ზამთრის საძოვრებით დაღესტნელები

ძველთაგან საგებლობდნენ. ბეჟანიანის მინდორსა (ძველი გავაზი, ამჟამად – ახალსოფელი) და მდინარე შოროხევის სანაპიროზე გამოსაზამთრებლად ძირითადად ჩამოდიოდნენ ანწუხელ-კაპუჭელნი, ხოლო თებელისა და ჭუმურტის თემების მკვიდრნი ლაგოდეხში ბინავდებოდნენ [5, 83-103].

ანწუხელ-კაპუჭელნი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სთან (1720-1798), რომელსაც ისინი თავიანთ უზენაეს მბრძანებლად აღიქვამდნენ. მათ მეფე სამხედრო ოპერაციების დროს იხმობდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თემების წარმომადგენლები ეთნიკურად ხუნძები იყვნენ, ისინი ბაგრატოვან ხელმწიფეს ერთგულობდნენ და დაღესტნიდან მოსალოდნელი თავდასხმის საფრთხის შესახებაც დროულად აფრთხილებდნენ [17, 136].

ზოგჯერ, ანწუხელებსა და კაპუჭელებს სხვა დაღესტნური თემების წარმომადგენლებიც (მაგალითად, ბეჟიტელები) უერთდებოდნენ. ამის დამადასტურებელია ერეკლე II-ისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მისის უმაღლესობისათვის სრულიად კაპუჭელთ და ბეჟიტელთ ხალხს სამსახური მოუხსენებიათ... როგორც უწინ მამა-პაპანი ყოფილან ერთნი და თქუენი მოსამსახურენი, ეხლაც ისე უნდა ვიყვნეთ. ერთმანეთში მშვიდობა იყოს და ერთგულება. მამა-პაპანი როგორც შერიგებულნი ყოფილან, ეხლაც იმას მოგახსენებთ, რო ესე შევრიგდეთ და ჩვენ როგორც თქვენი ნება იყოს, ისე გემსახურეთ და თქვენ ჩვენი მბრძანებელი ბრძანდებოდეთ“ [17, 63].

დაღესტნის ზემოხსენებული თავისუფალი თემების მოსახლეობისადმი ერეკლე II-ის დამოკიდებულების დამადასტურებელია მის მიერ გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „დიდ ვალიათა ვალის – ერეკლე ხანისაგან კაპუჭის ჯამაათს. მაღალი ალაჰიმც შეგისრულებთ ყველა სურვილს. ამენ. და შემდეგ აი, რა: მოვიდა ჩვენთან სულეიმანი და ჩვენ გავიგეთ, რაც თქვენ უთხარით მას ზეპირად თავიდან ბოლომდე. თქვენ გინდათ მოხვიდეთ ნეკრესში. თქვენ ყოფილხართ აქ ზამთარში. იმის შემდეგ,

რაც თქვენ მიიღებთ ჩვენს წერილს, მოდით ნეკრესში და ნუ გეშინიათ ჩვენი და ჩვენი ქვეშევრდომებისა ნურასოდეს. დანარჩენ სიტყვებს და მდგომარეობას გადმოგცემთ სულეიმანი, ის, ვინც მოგიტანთ ჩვენს სალამს. ელაპარაკეთ მას. ის გაცნობებთ თქვენ იმას, რაც ჩვენ ვილაპარაკეთ ზეპირად. მოგვწერეთ ყოველთვის როგორია თქვენი მდგომარეობა და საქმეები. სალამი" [18].

ამ წერილის ტექსტიდან არაფერია გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ წარსულში ალავერდსა და ნეკრესში იმართებოდა ქართველ და ჩრდილოკავკასიელ (ვაინახ და დაღესტნელ) ხალხთა თავყრილობები, რომელთაც ზოგჯერ სახალხო ზეიმის სახეც (მაგალითად «ალავერდობა») გააჩნდა. ამასთანავე, ირკვევა, რომ სრულიად კავკასიის სამხედრო-პოლიტიკური, სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობას იმხანად ჯერ კიდევ ინარჩუნებდა საქართველო, რომლის ტერიტორიაზე არსებულ წამყვან სახელმწიფოსაც – ქართლ-კახეთის სამეფო წარმოადგენდა.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით გამოთქმულია შემდეგი მართებული მოსაზრება: „საჭირბოროტო პოლიტიკურ საქმეებთან დაკავშირებით იხმობდა კახთბატონი მთიელებს. ამდენად, წერილის ეკონომიკური ხასიათი არ უნდა იკითხებოდეს. წერილი ჯამაათის სახელზეა მიწერილი და ჩანს, საიდუმლო ბარათსაც წარმოადგენდა, რადგან ერეკლეს ზოგი რამ მიუწერია და ზოგიც სანდო კაცის პირით შეუთვლია" [19, 83-84].

ქართლ-კახეთის სამეფო კანცელარიაში შედგენილი რეესტრის მიხედვით, ბაგრატოვანი ხელმწიფის სათანადო მოწოდების შემთხვევაში, ანწუხის თემიდან სალაშქროდ ჩამოდიოდა 1000 მეომარი, რასაც კაპუჭის თემიდან 500 მეომარი ემატებოდა [20, 173].

სამხედროვალდებულად ითვლებოდა აღნიშნულ თემებში მცხოვრები ყველა მამაკაცი (გარდა მოხუცებისა), რომელთა ასაკიც 15 წელს აღემატებოდა. ამ სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, მდინარე ალაზნის გაღმა მდებარე კახეთის სოფლებში:

ყვარელში, გავაზში, კუჭატანსა და ჭიკაანში თითო კომლიდან ყოველწლიურად 5 აბაზს აგროვებდნენ ანწუხელთათვის გადასაცემად, ხოლო კაპუჭელებისათვის იგივე თანხას საბუეში, შილდასა და ალმატში კრეფდნენ [21, 261].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტერმინი „ანწუხი" ქართულ საისტორიო წყაროში პირველად XIV საუკუნეში, მაღალაშვილისეული სახარების მინაწერში მოიხსენიეს.

რაც შეეხება ტერმინს „ანწუხელი", იგი დაღესტნის სხვა თემების მოსახლეთა აღმნიშვნელ დასახელებებთან ერთად, არაერთხელ მოიხსენია პაპუნა ორბელიანმა თავის საისტორიო თხზულებაში „ამბავნი ქართლისანი" [22], რომელიც XVIII საუკუნის შუა ხანების, კერძოდ, 1739-1758 წლების საქართველოს ისტორიას ასახავს.

ამ თხზულებაში მოთხრობილია, რომ მეფე თეიმურაზ II-მ (1700-1762) „მოსწერა წიგნი ძესა თვისსა ერეკლესა და კახეთის ჯარით დაიბარა. აღასრულა ბრძანება მამისა მცნებისამებრ და შეჰყარა ჯარი ფრიად კახეთისა და წამოვიდა დიდის ჯარით ერეკლე, საუნჯე კეთილისა, და შეეყარა მამასა თვისსა ანანურს. მოვიდნენ პირაქეთ ლეკნი ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი, რომელნი იყვნეს მოსამზღვრე ყმა კახეთისა. შემოეხვეწნენ კახ ბატონს, დაჰპირდნენ სამსახურს. უბოძა ბატონმა ხალათები და სთხოვა ჯარი. წავიდნენ მაშინვე ეს ლეკნი, შეჰყარეს ჯარი, მოვიდნენ და შეეყარნენ კახ ბატონს ანანურს" [22, 71].

დაღესტნის ზემოხსენებული თემების მოსახლეობას ბაგრატოვანი ხელმწიფენი წარმატებით იყენებდნენ როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, ასევე სამეფოში დაწყებული შინააშლილობის ჩასახშობად.

იმავე საისტორიო წყაროში შემონახულია XVIII საუკუნის შუა ხანებში მომხდარი სხვა ისტორიული ფაქტი, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფო ხელისუფლებასთან ქსნის ერისთავთა დაპირისპირებაზე მოგვითხრობს: „უკუდგნენ ოსნი ერისთვისანი და დაუწყეს ცემა ზემო ქართლსა. გაგზავნა მეფემ ერეკლემ კაცნი და

დაიბარა ანწუხელნი, თებელნი და ყირახელნი ლეკნი, რომელნი მონობდეს კახ ბატონსა. აღასრულეს ბრძანება და მოვიდა ჯარი ლეკისა. დააყენეს ავჭალას, მისცეს ულუფა, მცირეთა ხანთა შინა გაატანეს ბელადად მაჩაბელი და იასე ამილახორის შვილი და გაუსივეს უკუმდგარ ოსთა, ააოხრეს... და მრავალი ტყვე წამოასხეს" [22, 110].

პაპუნა ორბელიანი ასევე გვამცნობს იმავე პერიოდში მომხდარ სხვა საყურადღებო ამბავს: „წაბძანდა კახი ბატონი კახეთს, შემოეყარა ჯარი კახეთისა და მინდობილნი ლეკნი ანწუხისა და მთის ჯარი სრულიად და ჩამობძანდა ქალაქს. შემოიყარეს ქართლის ჯარიც. კახეთის ჯარი დააყენეს ავჭალას და ქართლის ჯარი – ლილოზე. წავიდა სულხან ორბელიანი მცირეს ჯარით, დაჰკრა არტაანის ქვეყანას და მრავალი ტყვე და საქონელი წამოიღო" [22, 112-113].

ბაგრატოვანი ხელმწიფენი სათანადოდ აფასებდნენ ანწუხელ-კაპუჭელთა ერთგულ ქვეშევრდომობას და მათ მათივე მეზობლად მცხოვრები ქართველი მთიელებისაგან, კერძოდ, თუშთაგან იცავდნენ.

მეფე ერეკლე II-ის მიერ 1786 წლის 17 მაისს გაცემული ბრძანების მიხედვით, თუშებს ანწუხელთათვის ზიანი არ უნდა მიეყენებინათ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ანწუხელნი ბელაქანისაკენ, ანუ აღმოსავლეთ კახეთისაკენ (იმავე ჰერეთისაკენ) გაეშურებოდნენ, ამის თაობაზე თუშებს თავიანთი მოურავისათვის უნდა ეცნობებინათ. ანწუხელნი ვალდებულნი იყვნენ, რომ თავიანთი მონათესავე დაღესტნელი ტომებისათვის კახეთის მოთარეშების შედეგად წაყვანილი ქართველი ტყვეები წაერთმიათ [23, 204].

მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) ვაჟის, გამოჩენილი მეცნიერ-ენციკლოპედისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, უფლისწულ იოანე ბაგრატიონის (1768-1830) ნაშრომი „ქართლ-კახეთის აღწერა" [24] უმნიშვნელოვანესი წყაროა გვიანფეოდალური საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლისათვის. გარდა

საქართველოში შემავალი რეგიონებისა, ამ ნაშრომში აღწერილია ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში შემავალი მხარეები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ემეზობლება.

კახეთის ჩრდილოეთი საზღვრის გადაღმა მოსახლე დაღესტნურ თემთა შესახებ იოანე ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ ისინი იყვნენ „ლეკნი, მცხოვრებნი კავკასიის მთასა შინა", რომელნიც „ძველად მორჩილებდენ და ემსახურებოდენ მეფეთა" [24, 73]. ბაგრატოვან ხელმწიფეთა ქვეშევრდომობაში ოდითგან მყოფ დაღესტნურ თემთა შორის, მეცნიერი ანწუხ-კაპუჭსაც ასახელებს [24, 73].

ცნობილია, რომ ქართულ ენას და კულტურას დაღესტნელებსა და ვაინახებზე ტრადიციულად ძლიერი ზეგავლენა გააჩნდა, რის თაობაზეც ბევრჯერ დაწერილა.

იოანე ბატონიშვილის უმცროსი ძმის, გამოჩენილი მეცნიერის თეიმურაზ ბაგრატიონის (1782-1846) ცნობით, ქისტნი, ღლიღვნი, ძურძუკნი და ლეკნი (ლეკოსის ნათესაობანი) „პირველ იყვნენ ენითა ქართულითა მომზრახენი და ქრისტიანენი... და სცვიდენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურ-ლანგამდე, რომელმანაც დაიპყრა იგინი, მოაქცივნა მრავლისა ტანჯვითა, ლიქნითა და წყალობითა მრავალთა, დაუდგინნა არაბნი მოლანი... განუწესა მათ, რათა ასწავებდნენ ყრმათა მათთა წერილსა არაბულისა ენისასა, მისცა მათ ბრძანება ფიცხნი არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა და რათა არცაღა ენა ქართული იზრახებოდეს მათ შორისა. მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლეკთა შორის ანწუხელთა, რომელნიც დღეინდელად დღემდე ზრახვენ ქართულსა ენასა...და უწყიანცა ენა ლეკთა... არიან ლეკთა შორის ძველად ნაშენები ეკლესიანი და მონასტერნი – რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, განა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვანი უქმად, რომელნიმე მიზგიდებათ (მეჩეთებად) მათდა შეცვალებულნი" [15, 32; 25, 19].

ანწუხი, დაღესტნის სხვა თავისუფალ თემთა შორის, თავის ორტომიან ნაშრომში აღწერა დოქტორმა იოჰან ანტონ გიულდენ-

შტედტმა (1745-1781), რომელიც რიგაში დაბადებულ-აღზრდილი გერმანელი მეცნიერი გახლდათ. იგი შედიოდა იმ საექსპედიციო ჯგუფის შემადგენლობაში, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ 1771-1772 წლებში საქართველოს შესასწავლად მოავლინა.

ამ კაპიტალური ნაშრომის პირველ ტომში მოცემულია შემდეგი ცნობები: „ყვარელიდან მთებში მდებარეობენ: დიდო – ჩრდილოეთით, თუშეთი – ჩრდილო-დასავლეთით და ლეკების რაიონი ანწუხი – ჩრდილო-აღმოსავლეთით“ [26, 31]; „ქართული პროვინცია კახეთი შეადგენს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს, კავკასიის ქედსა და მტკვარს შორის. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება მაღალი მთიანეთი ქისტური და ლეკური მხარეებით – დიდო, ყაბუჩი და ანწუხი“ [26, 249]. აქ მოხსენიებულ „ყაბუჩში“, ისევე როგორც ქვემოთ ხსენებულ „ყაფუჭში“ – „კაპუჭი“ უნდა ვიგულისხმოთ.

გიულდენშტედტის ნაშრომის მეორე ტომში დაცულია შემდეგი აღწერილობა: „მხარე ანწუხი. ის მდებარეობს ყაფუჭის ქვემოთ სამურაზე. მისი სოფლები განლაგებულნი არიან სამხრეთის ფიქალიანსა და კირქვიან მთებს შორის, რომელიც მას კახეთისაგან გამოჰყოფს. ქიზიყამდე არის 1 დღის სავალი. ყველაზე დიდი სოფლები ამ მხარისა არის: მაჭარი, ქარდა, ტუჰუკი, ანწუხი, კუპოტა, რუსბლი და სხვა მრავალი. მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 1500 ოჯახს. აქ ლაპარაკობენ ლეკური ენის ხუნძახურ ან ავარულ დიალექტზე, მცირე განსხვავებით. ეს ლეკური მხარეც ძველად ეკუთვნოდა კახეთს და ახლაც (1772 წ.) ქართლის (იგულისხმება ქართლ-კახეთის – ნ. ჯ.) მეფესთან კეთილ დამოკიდებულებაში იყო. ისინი ზამთარში ცხვარს აძოვებენ კახეთის მიწებზე და ვაჭრობენ თელავსა და თბილისში. ამ მხარეს არ ჰყავს თავადები, ჰყავს მხოლოდ არჩეული მთავარი (მამასახლისი) და ცდილობს თავი დამოუკიდებლად დაიჭიროს. შინაურ ცხოვრებაში, ჩაცმა-დახურვაში, ჩვევებსა და რელიგიაში ისეთივენი არიან, როგორც დიდოში, მხოლოდ სუნის სექტას აქ

მეტი მიმდევარი ჰყავს“ [27, 89].

გერმანელ მეცნიერს ასევე აღწერილი აქვს ანწუხის მეზობელი ყაფუჭის (იმავე ყაბუჩის ანდა კაპუჭის) მხარე, სადაც ანწუხთან შედარებით 500 კომლით ნაკლები ოდენობის მოსახლეობა – 1000 კომლი სახლობდა [27, 97].

XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ექსპანსიონისტური პოლიტიკის მსხვერპლი გახდა. ამის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ თანდათანობით გააუქმა და შეიერთა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი სამეფო-სამთავროები, კერძოდ, იმერეთის სამეფო, ოდიშის (სამეგრელოს), აფხაზეთის, გურიის, სვანეთის სამთავროები და ძირძველი მესხეთის მიწაზე ჩამოყალიბებული ახალციხის საფაშო, რომელიც ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში შედიოდა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ანწუხელ-კაპუჭელებს საქართველოსთან ურთიერთობა არ შეუწყვეტიათ. მათ არაერთხელ გამოხატეს თანადგომა განსაცდელში ჩავარდნილი ქართველი ერისადმი, რაც განსაკუთრებით 1812 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მომხდარი სახალხო აჯანყების დროს გამოჩნდა. თუმცა XIX საუკუნიდან საქართველოში განვითარებული მოვლენები და მათთან ანწუხელთა კავშირი უკვე სცილდება წინამდებარე გამოკვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოს და ცალკე შესწავლას საჭიროებს.

ამრიგად, ანწუხის თემის მკვიდრნი – ანწუხელნი XIV-XVIII საუკუნეებში საკმაოდ ხშირად იხსენიებიან ქართულ და უცხოურ საისტორიო წყაროებში, როგორც ბაგრატოვან ხელმწიფეთა ერთგული ქვეშევრდომნი, რომელთაც საქართველოსთან ყოველთვის მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური კავშირი გააჩნდათ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. https://ka.wikipedia.org/wiki/giorgi_anwuxeliZe

2. https://www.droni.ge/?m=3&AID=3581

3. რ. თოფჩიშვილი, თუშური გვარსახელები, ეთნოისტორიული ასპექტები, თბილისი, 2018.

4. https://ru. Wikipedia.org/wiki/Тляратинский_ район

5. ნ. ომარაშვილი, კახეთში მცხოვრები დაღესტნელები (ჩამოსახლების ისტორია, ყოფა და კულტურა), თბილისი, 2008.

6. Н. Джавахишвили, Очерки истории грузино-балтийских взаимоотношений, Тб., 2019.

7. А. Криштопа, О возможном происхождении титула „нуцал". В сборнике: „Социальная терминология в языках Дагестана", Махачкала, 1989.

8. А. Криштопа, Дагестан в XIII – начале XV вв., Очерк политической истории, Москва, 2007.

9. Ш. Хапизов, Ума-Нуцал (Умахан) Великий (очерк истории Аварского нуцальства второй половины XVIII в.), Махачкала, 2013.

10. ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი 2, ნაკვეთი 1, ტფილისი, 1928.

11. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, თბილისი, 1952.

12. Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII-XVIII вв., Тбилиси, 1959.

13. მ. კეკელია, ნაცვალი, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია", ტ. 7, თბილისი, 1984.

14. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1895.

15. ს. მაკალათია, ხევსურეთი, მეორე გამოცემა, ალ. ჭინჭარაულის რედაქციით, თბილისი, 1984.

16. Е. Марков, Очерки Кавказа, Санкт-Петербург-Москва, 1898.

17. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакци-

ей А. Берже), т. I, Тифлис, 1866.

18. მ. გუდავა, ერეკლე II-ის რამდენიმე წერილი დაღისტნის თემებისადმი, „მაცნე“, № 3, თბილისი, 1976.

19. ნ. ომარაშვილი, დაღისტნის თავისუფალი თემების (ანწუხისა და კაპუჭის) საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხისათვის, ჟურნალი „საქართველო“, № 2, თბილისი, 1998.

20. Межкавказские политические и торговые связи в Восточной Грузии (конец 60-х — начало 90-х годов XVIII в.), Документы и материалы, I выпуск, Тбилиси, Мецниереба, Тбилиси, 1980.

21. Р. Гасанов, Из истории Дагестано-Грузинской взаимоотношений, в сборнике: „Взаимоотношения Дагестана с народами Кавказа“, Махачкала, 1977.

22. პ. ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.

23. С. Какабадзе, Грузинские документы Института народов Азии Академии наук СССР, Москва, 1967.

24. ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბილისი, 1986.

25. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბილისი, 1968.

26. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი, 1962.

27. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბილისი, 1964.

Niko Javakhishvili

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History

Antsukhi and Antsukhians in the History of Georgia (in XIV-XVIII centuries)

Summary

This article reviews the role played by the Antsukhians in the history of Georgia, who were the indigenous people of the Antsukhi community, who is one of the historical-ethnographic regions of Avaria. It is located in the southwestern part of Dagestan, one of the autonomous republics of the Russian Federation.

This community, as well as the Kapuch community, has had very close ties with Georgia for centuries, in particular, with the Kingdom of Kakheti, bordering on the east in the XV-XVIII centuries.

Currently, Antsukhi region is part of Tliarati district, the administrative centre of which is Tliarata. Due to this, the Antsukhians (self-called as „анцукъал"), known as one of the sub-tribes of the Avar people, with a total number of more than 50,000 people, are also called „Tliarats". Antsukhian speech belongs to the southern dialect of an Avar language.

This region, which was part of the Ghunib region during the Russian Empire, and from 1920 to the Soviet Federal Socialist Republic of Russia, was called the Antsukh-Kapuch region in 1921-1926. Several villages in the Tliarat district were later transferred to Tsunta district and Bzhti administrative unit, bordering it to the north-west. Antsukhians live mainly in the Tliarati and Tsunta districts. In the middle of the twentieth century, some of them moved to other settlements in Dagestan.

The above-mentioned regions of Dagestan border the eastern part of Georgia from the north, in particular, the Kakheti districts of Akhmeta (which includes the historical-ethnographic region of Tusheti), Telavi, Kvareli and Lagodekhi. Descendants of these Antsukhian and Kapuchian free people of Dagestan – Avars still residing in Kvareli and Lagodekhi districts of Georgia, who had a dense community during the Soviet Union.

Antsukhi community and Antsukhians are frequently mentioned in the XIV-XVIII century Georgian and foreign historical sources as loyal subjects to the Bagrationi kings of Georgia, who always had close military-political and trade-economic ties with Georgia.

At the beginning of the XIX century, the East Georgian kingdom – Kartli-Kakheti (Kartalino-Kakhetian Kingdom) became the victim of the expansionist policy of the Russian Empire. Nevertheless, Antsukhians and Kapuchians did not cut ties with Georgia.